N 090210022005983157

8667738891784

www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

25 აპრილი, 2023 წელი

ქ.ამბროლაური

შესავალი ნაწილი
ამბროლაურის რაიონული სასამართლო
მოსამართლე -როინ კახიძე
სხდომისმდივანი - ქეთევან არჩვაძე

მოსარჩელე - შპს. ,,ელიტ ბილდერს გრუპი" ს/ნ402035855.
წარმომადგენელი - ნანა კლდიაშვილი.
მოპასუხე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია.
წარმომადგენელი - ლეილა გურგუჩიანი.
დავის საგანი - პირგასამტეხლოს შემცირება, თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1.სასარჩელო მოთხოვნა:
გაუქმდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ არამართლზომიერად დარიცხული პირგასამტეხლო 110508,86 ლარის ოდენობით და დაეკისროს მოპასუხე მხარეს _ მოსარჩელე - შპს - ელიტ ბილდერს გრუპის" სასარგებლოდ 100175,42 ლარის გადახდა.

გაუქმდეს მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ არამართზომიერად დარიცხული პირგასამტეხლო 11173,2 ლარის ოდენობით და დაეკისროს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე "ელიტ ბილდერს გრუპის" სასარგებლოდ პისგასამტეხლოს თანხის 10540,05 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

1.1.მოსარჩელის წარმომადგენელი სარჩელს ასაბუთებს შემდეგი არგუმენტებით:

2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე 200009919, რომლის ფარგლებშიც ყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშვნელობის ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციო სამუშაოები.
აღიშნული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება დაიდო შპს „ელიტ ბილდერს გრუპთან" კერძოდ; 2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტსა (შემდგომში შემსყიდველი) და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" შემდგომში მიმწოდებელი) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 208. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 435 178 (ერთიმილიონ ოთხასოცდათხუთმეტიათას ასსამოცდათვრამეტი) - ლარი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 07 დეკემბრის შეთანხმების აქტით სამუშაოთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან- 2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდი. შპს. ელიტ ბილდერს გრუპის" მიერ სამუშაოები განხორციელდა "ხელშეკრულებასთან და შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან სრული შესაბამისობით, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებითა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნებით.

სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა-გრაფიკის _ ვადაგადაცილება, რის გამოც შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულების 0,1% დაგადაცილებულ დღეზე, 77 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო დღეში 1435 ლარის და 18 თეთრის ოდენობით სულ 1435,18X77=110 508,86 (ას ათი ათას ხუთას რვა ლარი და 86 თეთრი) ლარის ოდენობით.

მოპასუხე მხარის მიერ პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობის ნორმათა დარღვევით, კერძოდ დარიცხული პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი დასტურდება, რომ ხელშეკრულების ვადის დარღვევა გამოიწვია მხარისგან დამოუკიდებელმა გარემოებამ - უხვნალექიანმა ამინდებმა, რომელიც აღინიშნებოდა 2022 წლის 04,06,08,12,13 აპრილს. რის გამოც უნდა შემცირდეს სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის (ს/ნ 242574460) მიერ 72 დღეზე დარიცხული შეუსაბამოდ მაღალი რგასამტეხლო 0.01 %-მდე 10 333,44 ლარამდე, ასევე უნდა გაუქმდეს 2022 წლის აპრილის 5 დღეზე არამართლზომიერად რიცხული პირგასამტეხლო 7 175,9 ლარის ოდენობით და დაეკისროს სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტს ის „ელიტ ბილდერს გრუპის" (ს/ნ 402035855) სასარგებლოდ შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით დარიცხული პირგასამტეხლოს 92 999,52 ლარისა და არამართლზომიერად კისრებული პირგასამტეხლოს 7175,9 ლარის გადახდა, სულ -100175,42 (92999,52+7175,9=100175,42) ლარის გადახდა.

(გაერთიანებული საქმე)

2020 წლის 13 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს ელიტ ბილდერს გრუპი"-ს შორის გამოცხადებულ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი NAT200012722-ის საფუძველზე დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N231. აღნიშნული ხელშეკრულების 1-ლი პუნქტით მოსარჩელე მხარემ აიღო ვადებულება განეხორციელებინა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხელშეკრულების დანართებისა და საპრიექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დასრულება და შესყიდვების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით. მე-19 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვად განსაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბერი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ხელშკრულების ღირებულებად 2,1 პუნქტით განისაზღვრა 372439,63 ლარი, ხოლო 2020 წელს ასათვისებელმა თანხამ შეადგინა 105000 (ასხუთი ათასი) ლარი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მასში შევიდა ცვლილებები, რომლითაც შეიცვალა 2020 წელს ასათვისებელი თანხა და განისაზღვრა 70000 ლარის ოდენობით. ასათვისებელი თანხის ცვლილების საფუძველზე დაკორექტირდა გეგმა-გრაფიკი. აღნიშნულის შესახებ მხარეთა შეთანხმებით შედგა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებები 231-1, 231-2, 231-3. სოფელ სპათაგორში განხორციელებულ სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა-გრაფიკის გადაცილება, რის გამოც შპს"ელიტ ბილდერს გრუპი"-ს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბანისად 30 დღიანი (06.07 021-13.08.2021, (გარდა 22,24,25,27 ივლისის და 02.08.09.10 აგვისტოსი) ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო 11173,20 (372439.63X0.1%X30=11173,2) ლარის ოდენობით.

შპს „ელიტ ბილდერს გრუპი" კეთილსინდისიერად ასრულებდა მხარეთა შორის 2020 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების და მასში შესული ცვლილებების პიროებს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით. თუმცა მხარისაგან დამოუკიდებელი ახლად გამოვლენილი გარემოებების, კერძოდ, უხვნექიანი ამინდების, რომელიც აღინიშნებოდა 2021 წლის 22, 24, 25, 27 ივლისსა და 02, 08, 09, 10, 15.16.19 და 20 აგვისტოს თვეში, ვერ განხორციელდა სამუშაოები. ნალექიანი ამინდის დროს შეუძლებელი იყო სამუშაოების, კერძოდ, კი ბეტონის დასხმის განხორციელება. გარდა ამისა მომწოდებელმა არ გაითვალისწინა მთავრობის მიერ ოფიციალური უქმე დღეებად გამოცხადებული 4-12 მაისის პერიოდი და არ გადაწია ვალდებულების შესრულების დრო

შაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედება, რაც განხორციელა პირგასამტეხლოების დარიცხვა არ შეესაბამება კანონმდებლობას და მხრეთა შორის არსებული ხელშეკრუეების პირობებს ასევე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაები შეესაბამება ხეშეკრულებას და შეთანხმებულ

ხარჯთაღრიცხვას, რაც დასტუდება მიღება-ჩაბარების აქტებითა და ექსპერტიზის დასკვნებით.

მოსარჩელის განმარტებით, შესრულებული სამუშაოებისთვის თანხის მიუღებლობის გამო, კომპანიას ადგება მნიშნელოვანი ზიანი, რადგან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2. **მოპასუხის პოზიცია:**

2.1.მოპასუხე შესაბებლით სარჩელს არ ცნობს და მიუთითებს რომ პირგასამტეხლოს დაკისრება განხორციელდა მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით, რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილს პირგასამტეხლოს ოდენობაზე წარმოადგენს რეკომენდაციების და არ წარმოადგენს სავალდებულო შესასრულებელ მოთხოვნას. ასევე მიუთითებს რომ ნალექის მოსვლა და მთავრობის 2021 წლის 16 აწრილის N175 დადგენილებით უქმე დღეების განსაზღვრა არ შეიძლება შეფასდეს ფორს-მაჟორად, რადგან, მხარის მიერ წარმოდგენილ ცნობით არ დასტურდება უხვი ნალექის მოსვლა ცაგერის მუნიციპალიტეტში და რომც დადასტურდებოდეს ნალექის მოსვლა გაუთვალისწინებელი გარემოება არ არის, შესაბამისად ვერ ჩაითვლება ფორს-მაჟორად.

3. **ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1. **უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1.1. 2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე თ200009919, რომლის ფარგლებშიც ყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშვნელობის ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციო სამუშაოები. აღიშნული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება დაიდო შპს „ელიტ ბილდერს გრუპთან". კერძოდ 2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 574460) (შემდგომში შემსყიდველი) და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" (ს/კ 402035855) მდგომში მიმწოდებელი) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 208. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 435 178 - ლარი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 07 დეკემბრის შეთანხმების აქტით სამუშაოთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან- 2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდი.
სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა-გრაფიკის _ ვადაგადაცილება, რის გამოც შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულების 0,1% დაგადაცილებულ დღეზე, 77 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო დღეში 1435

ლარის და 18 თეთრის ოდენობით სულ 1435,18X77=110 508,86 ლარის ოდენობით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- 2020 წლის 21 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა-განმატება;
- მიღება ჩაბარების აქტი;

3.1.2. 2020 წლის 13 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს ელიტ ბილდერს გრუპი"-ს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N231. აღწიშნული ხელშეკრულების 1-ლი პუნქტით მოსარჩელე მხარემ აიღო ვალდებულება განეხორციელებინა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ხელშეკრულების დანართებისა და საპრიექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დასრულება და შესყიდვების ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით. მე-19 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბერი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ხელშკრულების ღირებულებად 2,1 პუნქტით განისაზღვრა 372439,63 ლარი, ხოლო 2020 წელს ასათვისებელმა თანხამ შეადგინა 105000 (ასხუთი ათასი) ლარი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მასში შევიდა ცვლილებები, რომლითაც შეიცვალა 2020 წელს ასათვისებელი თანხა და განისაზღვრა 70000 ლარის ოდენობით. ასათვისებელი თანხის ცვლილების საფუძველზე დაკორექტირდა გეგმა-გრაფიკი. აღნიშნულის შესახებ მხარეთა შეთანხმებით შედგა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებები 231-1, 231-2, 231-3. სოფელ სპათაგორში განხორციელებულ სამუშაოებზე დაფიქსირდა გეგმა- გრაფი ის გადაცილება, რის გამოც შპს"ელიტ ბილდერს გრუპი"-ს (ს/კ: 402035855) მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბანისად 30 დღიანი ვადაგადაცილებისათვის დაეკისრა პირგასამტეხლო 11173,20 (372439.63X0.1%X30=11173,2) ლარის ოდენობით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- 2020 წლის 13 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა-განმატება;
- მიღება ჩაბარების აქტი;

3.1.3 შესრულებული სამუშაოებისთვის მოპასუხის მხრიდან თანხის გადაუხდელობის გამო შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" შეექმნა მძიმე ფინანსური პრობლემა;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- შპს „ელიტ ბილდერს გრუპის" კრედიტორტა სია 2023 წლის 15 მარტის

მდგომარეობით
-მხარეთა ახსნა-განმატება;

3.2. **დასადგენი სამართლებრივი გარემოებები:**
–პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობა.

3.2.1.სადაო გარემოებასთან დაკავშირებით მხარეები იძლევიან ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს. მათ მიერ დასახელებული სამართლებრივი გარემოებები გამორიცხავენ ერთმანეთის. სასამართლო ორივე მხარის განმარტებას აფასებს თანაბარი მნიშვნელობის არგუმენტად და მასზე სასამართლო იმსჯელებს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა;

_ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
_ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

6. სამართლებრივი შეფასება;

6.1. სასამართლო განმარტავს, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. აღნიშნული გულისხმობს პირის უფლებას, სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას. უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს.

6.2.სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს უფლება აქვს დარღვეული უფლების აღდგენა მოითხოვოს სასარჩელო წესით, ანუ სარჩელი აღძრას და მოითხოვოს პირგასამტეხლოს შემცირება და ზედმეტად გადახდილი პირგასამტეხლოს მოპასუხეზე დაკისრება,

6.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ემუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

6.4.უდაოდ დადგენილია, რომ 2020 წლის 21 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" შორის გაფორმდა N208 შესყიდვების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-13 პუნქტის მე-2 ნაწილის თანახმად სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, უდაოდ დადგენილია რომ შპს „ელიტ ბილდერს გრუპის" მხრიდან დაირღვა ხელშეკრულების პირობები, რის გამოც N208 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" დაეკისრა პირგასამტეხლოს 110508,86 ლარის ოდენობით;

უდაოდ დადგენილია, რომ 2020 წლის 13 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" შორის გაფორმდა N231 შესყიდვების ხელშეკრულება. ხელშეკრულებების მე-13 პუნქტის მე-2 ნაწილის თანახმად სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, უდაოდ დადგენილია რომ შპს „ელიტ ბილდერს გრუპის" მხრიდან დაირღვა ხელშეკრულების პირობები, რის გამოც N231 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ელიტ ბილდერს გრუპს" დაეკისრა პირგასამტეხლოს 11173,20 ლარის ოდენობით;

6.5. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო ეს არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418–ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. ხელშეკრულება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეიძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

6.6. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების პირობა დაარღვია მას წარმოეშვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა. მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული თანხის - პირგასამტეხლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიანდობს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. ამდენად, პირგასამტეხლოს ოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ვალდებულების დარღვევის ხასიათს, პერიოდს, აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს, მის თანაფარდობას, მხარეთა ფინანსურ მდგომარეობას, მოსარჩელის ეკონომიკურ ინტერესს, აგრეთვე, სხვა ობიექტურ გარემოებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა შემცირდეს 2020 წლის 13 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N231 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვროს 2234,63 ლარით; **(372439,63* 0,02%=74,487926*30=2234,63. შესაბამისად** ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან -11173,20 ლარიდან შპს ..ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახელად უნდა დაეკისროს - 8938,57 ლარის გადახდა; (11173,20-2234,63=8938,57.)
ასევე უნდა შემცირდეს 2020 წლის 21 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N208 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვროს 22101,74 ლარით (1 435178* 0,02%=28703*77=22101,74 შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან - 110 508,86 ლარიდან შპს ..ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახელად

უნდა დაეკისროს - 88 407,12 ლარის გადახდა; (110 508,86-22 101,74=88407,12)

6.6.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ე ნაწილის ,,ზ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

უდაოდ დადგენილია, რომ როგორც სამეწარმეო სუბიექტის შპს ..ელიტ ბილდერს გრუპის'' ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, რაც მიზეზობრივ კავშირშია მის მიერ შესრულებული სამუშაოებისთვის მოპასუხის მხრიდან თანხების გადაუხდელობასთან. ა.გამომდინარე აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, შესაბამისად უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა წინამდებარე სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევის შესახებ

7. საპროცესო ხარჯები:

7.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილით პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მეორე ნაწილით სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. ხოლო მესამე ნაწილით სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ემუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად მოპასუხეს უნდა დაეკისროთ მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის 268,15 ლარის და 2652,21 ლარის გადახდა. (დაკისრებული თანხის 3%)

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები:

უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე 243-244-ე, 247-249-ე, 257[1]-ე, 365 მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

1.1. შემცირდეს 2020 წლის 13 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N231 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვროს 2234,63 ლარით;

1.2.. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან -11173,20 ლარიდან შპს ..ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახელად დაეკისროს - 8938,57 ლარის გადახდა;

1.3. შემცირდეს 2020 წლის 21 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N208 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 0,02%-მდე და პირგასამტეხლო განისაზღვროს 22101,74 ლარით;

1.4.. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, მის მიერ დაკავებული თანხიდან -110 508,86 ლარიდან შპს ..ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ გადასახელად დაეკისროს - 88 407,12 ლარის გადახდა;

2. წინამდებარე გადაწყვეტილება მიქცეული იქნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ამ მიზნით გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

3.ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას შპს...ელიტ ბილდერს გრუპის'' სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 268,15 ლარის და 2652,21 ლარის გადახდა. (დაკისრებული თანხის 3%)

4. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ.№32), ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მეშვეობით

5.გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს მეშვეობით.

6.გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 დაარაუგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე: ხელმოწერილია როინ კახიძე